

**ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები**  
**ოვერდრაფტის ხელშეკრულება # \_\_\_\_\_, [წელი] წლის [რიცხვი, თვე]**

<b>ოვერდრაფტის საპროცენტო განაკვეთი</b>	
საპროცენტო განაკვეთის ტიპი:	
ოვერდრაფტის (კრედიტის) წლიური საპროცენტო განაკვეთი:	პროცენტი ციფრებით %
ოვერდრაფტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:	1.პროცენტი ციფრებით % - ოვერდრაფტის თანხის განაღდების შემთხვევაში; 2.პროცენტი ციფრებით % - სავაჭრო ობიექტიდან <b>ოვერდრაფტის</b> თანხის ათვისების შემთხვევაში
<b>ოვერდრაფტის ფინანსური ხარჯები</b>	
ყოველთვიური შენატანის ოდენობა:	შენატანები განისაზღვრება ათვისებული თანხისა და დაფარვის ვადების შესაბამისად
შენატანები განისაზღვრება ათვისებული თანხისა, დაფარვის ვადების, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გარემოების დადგომის შესაბამისად.	
<b>სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია</b>	
ოვერდრაფტის მთლიანი მოცულობა:	თანხა ციფრებით და ვალუტა
კლიენტის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა ბანკის ბანკომატიდან თანხის ათვისებისას:	თანხა ციფრებით და ვალუტა
კლიენტის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა სავაჭრო ობიექტიდან თანხის ათვისებისას:	თანხა ციფრებით და ვალუტა
ოვერდრაფტის მოქმედების ვადა:	დდ/თთ/წწწწ-მდე; ყოველ ჯერზე, ვადა ავტომატურად გაგრძელდება 12 (თორმეტი) თვით, თუ <b>ბანკი</b> სხვაგვარად არ გადაწყვეტს
ოვერდრაფტის ხელშეკრულების მოქმედების ვადა:	_____, მაგრამ ყველა შემთხვევაში, სანამ სრულად არ იქნება შესრულებული კლიენტის ვალდებულებები
ვადაზე ადრე დაფარვის პირგასამტეხლო:	
საპროცენტო განაკვეთის ცვლილების სხვა გარემოებები:	ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად გაზარდოს საპროცენტო განაკვეთი კლიენტის 73 წლის ასაკის შესრულების შემთხვევაში.

ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები. ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, კლიენტის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში - არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე წერილობით/ელექტრონული ფოსტით/ინტერნეტ-ბანკით/მოკლე ტექსტური შეტყობინებით. შეტყობინების აღნიშნული ვადები არ მოქმედებს თუ ცვლილება: (ა) ხორციელდება კლიენტის სასარგებლოდ; ან (ბ) არ იწვევს ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილებას ან/და სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის გაზრდას.

კლიენტს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ბანკის პრეტენზიების სამსახურში ზეპირი, წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით. ასევე, დისტანციური მომსახურების ცენტრში, სატელეფონო ზარის საშუალებით: 032 2 55 55 00

კლიენტის ხელმოწერა / -----/

**ოვერდრაფტის ხელშეკრულება #**  
**(ოვერდრაფტი)**

**წლის [რიცხვი, თვე]**

- წინამდებარე ხელშეკრულების (შემდგომში - **ხელშეკრულება**) მხარეებს წარმოადგენენ: **სს „ლიბერთი ბანკი“** (ს.ნ. 203828304, იურიდიული/საკორესპონდენტო მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №74; ტელეფონი: \_\_\_\_\_, ელ-ფოსტა: \_\_\_\_\_) (შემდგომში - **ბანკი**) და **კლიენტის სახელი და გვარი** (პ.ნ. \_\_\_\_\_, მისამართი: \_\_\_\_\_, ტელეფონი: \_\_\_\_\_, ელ-ფოსტა: \_\_\_\_\_) (შემდგომში - **კლიენტი**).
- ხელშეკრულების** თანახმად **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის ანგარიშზე** დაუშვას **ოვერდრაფტი** და მის ფარგლებში გასცეს **ოვერდრაფტის** თანხა, ხოლო **კლიენტი** იღებს ვალდებულებას **ხელშეკრულებით** დადგენილი წესით სრულად შეასრულოს **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ფულადი და სხვა ვალდებულებები.
- ხელშეკრულების** სხვა მნიშვნელოვანი პირობები მოცემულია **საბანკო კრედიტის ხელშეკრულების** სტანდარტული პირობებში (შემდგომში - **პირობები**), რომელიც განთავსებულია **ბანკის** ვებ-გვერდზე <https://libertybank.ge/ka/agreements/kreditis-khelshekrulebis-standartuli-pirobebi> და წინამდებარე გარიგებასთან ერთად წარმოადგენს ერთიან ხელშეკრულებას. ამასთან, **კლიენტი** ადასტურებს, რომ დეტალურად იცნობს და ეთანხმება **პირობებს**.
- ოვერდრაფტის მიზნობრიობა:** *სამომხმარებლო* ; **ოვერდრაფტის** დაშვების **ანგარიში:** \_\_\_\_\_ ; **ოვერდრაფტის** მოცულობა: \_\_\_\_\_ ; **ოვერდრაფტის (კრედიტის)** წლიური **პროცენტი:** \_\_\_\_\_ % ერიცხება დღიურად **კლიენტის** მიერ **ოვერდრაფტიდან** ათვისებულ თანხაზე (შემდგომში - **ძირითადი თანხა**); **ოვერდრაფტის** ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: (1)..... - **ბანკის** ქსელში **ოვერდრაფტის** თანხის განაღდებას; (2)..... - **ოვერდრაფტის** თანხის სავაჭრო ობიექტებში გახარჯვისას; **ოვერდრაფტის** მოქმედების ვადა: \_\_\_\_\_-მდე; **ოვერდრაფტის ხელშეკრულების** მოქმედების ვადა: \_\_\_\_\_-მდე, მაგრამ ყველა შემთხვევაში, სანამ სრულად არ იქნება შესრულებული **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე **კლიენტის** ვალდებულებები; **ოვერდრაფტის** ათვისების ვადა (პერიოდი რომლის განმავლობაშიც **კლიენტმა** შეიძლება ისარგებლოს **კრედიტით ხელშეკრულებაში** მოცემული პირობებით): \_\_\_\_\_ - მდე, თუ **ბანკი** სხვაგვარად არ გადაწყვეტს; **საპროცენტო განაკვეთის** ტიპი: \_\_\_\_\_ ; **ოვერდრაფტის** დაფარვის წესი: **კლიენტი** ვალდებულია გადაიხადოს დარიცხული **პროცენტი** ყოველი თვის \_\_\_\_\_ რიცხვში, ხოლო **ძირითადი თანხა** **ოვერდრაფტის** მოქმედების ვადის ბოლოს, ამასთან, თუ **ოვერდრაფტით** სარგებლობისას გადაჭარბებული იქნება **ოვერდრაფტის ლიმიტის** მოცულობა, **კლიენტი** ვალდებულია გადახარჯვის წარმოშობისთანავე, დაუყოვნებლივ დაფაროს გადახარჯული თანხა; **კლიენტის** მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა **ბანკის** ბანკომატიდან თანხის ათვისების შემთხვევაში: \_\_\_\_\_ ; **კლიენტის** მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა სავაჭრო ობიექტიდან თანხის ათვისების შემთხვევაში: \_\_\_\_\_ ; მთლიანი გადასახდელი თანხის ოდენობა შეიცვლება ათვისებული **ოვერდრაფტის ლიმიტის**, **ოვერდრაფტის** დაფარვის ვადების, **საპროცენტო განაკვეთის** ცვლილების შესაბამისად; ეფექტური **საპროცენტო განაკვეთის** ცვლილების გარემოებები: **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად გაზარდოს ეფექტური **საპროცენტო განაკვეთი კლიენტის** 73 წლის ასაკის შესრულების შემთხვევაში იმ ოდენობით, რაც საჭიროა ამ **ხელშეკრულების** მე-13 მუხლის მიზნებისთვის. **ოვერდრაფტის** მთლიანი მოცულობიდან ფინანსური ხარჯების გამოკლებით დარჩენილი გასატანი თანხა: \_\_\_\_\_ .
- კლიენტს** შეუძლია **ოვერდრაფტის** ათვისება **ოვერდრაფტის** მოცულობის ფარგლებში მრავალჯერადად, ხოლო **ოვერდრაფტის** ვადაზე ადრე დაფარვა ნებისმიერ დროს და ოდენობით პირგასამტრეხლოს გარეშე.
- კრედიტის** და **მასთან დაკავშირებული გადასახდელების** დაფარვის თანმიმდევრობა შემდეგია: პირველ რიგში იფარება ხარჯები (მათ შორის და არამართო საარბიტრაჟო, სასამართლო დავასთან, სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯები, ზიანის / ზარალის ანაზღაურების თანხები და სხვა), შემდგომ **საპროცენტო სარგებელი** და ბოლოს **კრედიტის თანხა**. ამასთან, აღნიშნული რიგითობა განისაზღვრება **ბანკის** შეხედულებისამებრ, გარდა ამავ **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული გამონაკლისებისა.
- ბანკის** წინაშე **კლიენტის** ერთდროულად ერთზე მეტი ვადამოსული ფულადი ვალდებულების არსებობის შემთხვევაში, როდესაც **კლიენტის ანგარიშზე** განთავსებული თანხა არ არის საკმარისი ერთზე მეტი ვადამოსული (მათ შორის ვადაგადაცილებული) ვალდებულების სრულად შესასრულებლად, ყოველ ჯერზე, ასეთი გარემოების დადგომის დღეს (და არა წინასწარ), სამუშაო დღეებში 17:30 სთ-მდე, ხოლო შაბათს 13:30 სთ-მდე, **კლიენტს** უფლება აქვს, **ბანკის** მიერ განსაზღვრული წესით, **ბანკის** ფილიალისთვის, სერვის ცენტრისთვის მიმართვის გზით, ასევე **ბანკის** ინტერნეტ ბანკის, სატელეფონო ცენტრის საშუალებით (ხოლო ინდივიდუალური მეწარმის, იურიდიული პირის და სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის შემთხვევაში დასაშვებია მხოლოდ **ბანკის** ფილიალისთვის, სერვის ცენტრისთვის მიმართვა და არჩევანის დაფიქსირება) აირჩიოს ვალდებულებების შესრულების (საკრედიტო პროდუქტების დაფარვის) რიგითობა. თუ აღნიშნულ ვადაში და წესით **კლიენტი** არ ისარგებლებს მისთვის მინიჭებული ზემოაღნიშნული უფლებით, **კლიენტის** ფულადი ვალდებულებების დაფარვა განხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით: (I) საკრედიტო ბარათ(ებ)ი, **ოვერდრაფტ(ებ)ი**, არაუზრუნველყოფილი **კრედიტ(ებ)ი**; (II) მხოლოდ გირავნობით (გარდა ფულადი სახსრების/დეპოზიტის) უზრუნველყოფილი **კრედიტ(ებ)ი**; (III) მხოლოდ თავდებობით ან/და საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი **კრედიტ(ებ)ი**; (IV) უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი **კრედიტ(ებ)ი**; (V) ფულადი სახსრებით/დეპოზიტით უზრუნველყოფილი **კრედიტ(ებ)ი**; (VI)

- სხვა სახის კრედიტ(ებ)ი. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, **ბანკი** უფლებამოსილია თავად განსაზღვროს **კლიენტის** ფულადი ვალდებულებათა შესრულების რიგითობა..
8. **კლიენტი** აცხადებს თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, წინამდებარე **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე **კლიენტის** ნებისმიერი ფულადი ვალდებულების შესრულების მიზნით **ბანკმა** დააკავოს **კრედიტის (ოვერდრაფტის) თანხიდან** ან/და ჩამოწეროს **კლიენტის** ნებისმიერი **ანგარიშიდან**, მათ შორის სადეპოზიტო **ანგარიშიდან**, (თუ გადასახდელი და **ანგარიშზე** რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკმა** თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის მომენტისთვის **ბანკში** მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს **კლიენტის ანგარიშიდან**) და დაფაროს ფულადი ვალდებულებები.
  9. **კრედიტის** სრულად დასაფარად საკმარისი **კლიენტის** ფულადი სახსრების **ბანკში** არსებობის ან/ განთავსების შემთხვევაში არ მოხდება **კრედიტის** წინსწრებით (ვადაზე ადრე) ავტომატურად დაფარვა და **კლიენტის** იცინიატივით **კრედიტის** სრულად ან ნაწილობრივ ვადაზე ადრე დაფარვა შესაძლებელია განხორციელდეს **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული პირობების შესაბამისად **კლიენტის** მიერ **ბანკისთვის** მიმართვის საფუძველზე.
  10. თუ **კლიენტს** სრულად ექნება შესრულებული ფულადი ვალდებულებები **ბანკის** წინაშე, **ოვერდრაფტის** მოქმედების ვადა ყოველ ჯერზე ავტომატურად გაგრძელდება 12 (თორმეტი) თვის ვადით, გარდა იმ შემთხვევისა თუ **ბანკი** თავისი შეხედულებით სხვაგვარად არ გადაწყვეტს.
  11. **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს **ხელშეკრულების** პირობები. **ხელშეკრულების** მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, **კლიენტის** ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში - არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე წერილობით/ელექტრონული ფოსტით/ინტერნეტ-ბანკით/მოკლე ტექსტური შეტყობინებით. შეტყობინების ვადების აღნიშნული მოთხოვნები არ ვრცელდება თუ **ხელშეკრულების** ცვლილება: (ა) ხორციელდება **კლიენტის** სასარგებლოდ, რაზედაც **მხარეები** თანხმდებიან, რომ **ბანკი** თავისუფლდება ასეთი ცვლილებების შესახებ შეტყობინების ვალდებულებისგან; ან (ბ) არ იწვევს **ხელშეკრულების** მნიშვნელოვანი პირობების ცვლილებას ან/და სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის გაზრდას.
  12. **მნიშვნელოვანი რისკები**. **კლიენტისთვის** ცნობილია, რომ **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ფულადი ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის შემთხვევაში, მათ შორის **კრედიტის** ძირითადი თანხის დაუბრუნებლობის შემთხვევაში **ბანკმა** შესაძლოა მიაქციოს გადახდევინება **კლიენტის** ქონებაზე, მათ შორის **ბანკმა** მიმართოს ისეთ ღონისძიებებს, როგორცაა (ა) **კლიენტის** ნებმისმიერი ქონების (მათ შორის, ანგარიშების, ფულადი სახსრების) დაყადაღება, შეზღუდვების, აკრძალვების, უფლებრივი ტვირთის გავრცელება; ან/და (ბ) **კლიენტის** საბანკო ანგარიშებიდან (მათ შორის სადეპოზიტო ანგარიშებიდან) ან/და სხვა ანგარიშებიდან ფულადი სახსრების უაქცეპტო წესით ჩამოწერა; (გ) **კლიენტის** გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების მოთხოვნა.
  13. **კლიენტის** 73 წლის ასაკის მიღწევისთანავე (თუ არ იარსებებს **ხელშეკრულების** შეწყვეტის რომელიმე გარემოება ან/და **ბანკი** თავისი შეხედულებით სხვაგვარად არ გადაწყვეტს) ან/და **ბანკის** ცალმხრივი გადაწყვეტილების საფუძველზე:
    - 13.1. **კლიენტი** ვეღარ შეძლებს **ოვერდრაფტის** მოცულობის ფარგლებში თანხის ათვისებას (შესაბამისად **ოვერდრაფტი** გაუქმდება თუ მოცემული მომენტისთვის **კლიენტს** არ ექნება ათვისებული **ოვერდრაფტის თანხა**) ;
    - 13.2. **ოვერდრაფტიდან** ათვისებული თანხა და დარიცხული **პროცენტის** ჯამური თანხა განისაზღვრება ძირითად თანხად და **ოვერდრაფტის** გადახდის გრაფიკი შედგება შემდეგი პრინციპით: (ა) არაუმეტეს 48 თვე; (ბ) გადასახდელის გადახდის რიცხვი დარჩება უცვლელი; (გ) ძირითადი თანხა და დარიცხული **პროცენტი** ყოველთვიურად თანაბარწილებად; (დ) ყოველთვიური გადასახდელის ოდენობა იქნება **ხელშეკრულების** დადების მომენტისთვის **ბანკის** მიერ გათვალისწინებული **სოციალური სარგოს** 25%-ს ტოლი, გარდა იმ შემთხვევისა თუ (დ.ა) მოცემული კოეფიციენტის დაცვა ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნულ ვადის გათვალისწინებით შეუძლებელია; ან (დ.ბ) ძირითადი თანხა იმდენად მცირეა, შეუძლებელია აღნიშნულ კოეფიციენტამდე შევსება.
  14. თუ **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული გადასახდელის გადახდის თარიღამდე დარჩენილია 14 (თოთხმეტი) დღე ან ნაკლები, **კლიენტის** მომდევნო გადასახდელის შესრულების მიზნით და მოცულობით **ბანკი** უფლებამოსილია დაბლოკოს **კლიენტის** ნებისმიერ **ანგარიშზე** არსებული თანხები.
  15. თუ რომელიმე კალენდარულ თვეს **კლიენტის ანგარიშზე** არ ჩაირიცხება თანხები, რომელიც **ბანკის** შეხედულებით წარმოადგენს **ოვერდრაფტის** დაფარვის ძირითად (მაგრამ არა ერთადერთ) წყაროს, შესაბამისად **კლიენტი** ვალდებული იქნება დაუყოვნებლივ სრულად დაფაროს ათვისებული ძირითადი თანხა და დარიცხული **პროცენტი**, თუ **ბანკი** სხვაგვარად არ გადაწყვეტს.
  16. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს თავისი შეხედულებით აღადგინოს **ოვერდრაფტი** (გაუქმების შემთხვევაში), გაზარდოს, შეამციროს ან გააუქმოს **ოვერდრაფტის** მოცულობა (გაუქმების შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებული იქნება სრულად დაფაროს **ოვერდრაფტის** თანხა და **კრედიტთან დაკავშირებული გადასახდელები**).
  17. **ბანკი** უფლებამოსილია შეწყვიტოს **ხელშეკრულების** ან/და **ოვერდრაფტის** მოქმედება და მოთხოვოს **კლიენტს** ფულადი ვალდებულებების ვადაზე ადრე დაუყოვნებლივ შესრულება **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით** (მათ შორის **პირობებით**) ნაკისრი რომელიმე ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში.
  18. **პროცენტის დარიცხვის გაგრძელება**. **კლიენტი** აცხადებს თანხმობას, **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, ნებაყოფლობით ან გადახდევინების მიქცევის გზით ფულადი ვალდებულებების სრულად დაფარვამდე,

გაგრძელდეს/ შენარჩუნდეს პროცენტის დარიცხვა დავალიანების სრულ ოდენობაზე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

19. **მონიტორინგი. კლიენტი** აცხადებს თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, **ხელშეკრულების** მოქმედების პერიოდის განმავლობაში ნებისმიერ დროს, **ბანკმა** კლიენტთან მოახდინოს სატელეფონო კომუნიკაცია ან/და მიაწოდოს **კლიენტის** საქმიანობის ან/და სხვა შესაბამის ადგილზე **ბანკის** თანამშრომელი ან/და **ბანკის** მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირი და შეაფასოს, დაასურათოს, შეადგინოს შესაბამისი აქტი **ოვერდრაფტის/კრედიტის მიზნობრიობის** შემოწმების და მონიტორინგის, ასევე **ოვერდრაფტის/კრედიტის** დაფარვის წყაროს შესწავლის მიზნით და ამ მიზნების შესასრულებლად საჭირო მოცულობით.
20. ეს **ხელშეკრულება** და მის ფარგლებში დადებული გარიგება(ები) დადებულად ჩაითვლება, **მხარეთა** ხელმოწერით ან/და **ბანკის** მიერ განსაზღვრული ელექტრონული არხის საშუალებით (მათ შორის ბანკომატით) თანხმობის გამოხატვით. ასეთ თანხმობას ექნება მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერის ტოლფასი იურიდიული ძალა.
21. წინამდებარე **ხელშეკრულება** შედგენილია ქართულ ენაზე. **მხარეთა** შეთანხმებით **ხელშეკრულება** დამატებით შესაძლოა დაიდოს სხვა ენაზეც. ამ შემთხვევაში **ხელშეკრულების** ქართულ ენაზე შედგენილ ეგზემპლარს უპირატესობა მიენიჭება **ხელშეკრულების** სხვა ენაზე შედგენილ ეგზემპლარებთან მიმართებაში. ამასთან, **კლიენტისთვის** სახელშეკრულებო პირობებისა და ინფორმაციის მიწოდება, ასევე **კლიენტთან** კომუნიკაცია **ხელშეკრულების** მოქმედების პერიოდში განხორციელდება ქართულ ან ინგლისურ ან რუსულ ენაზე.
22. **ხელშეკრულება** რეგულირდება და განიმარტება საქართველოს **კანონმდებლობის** შესაბამისად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილის საფუძველზე, დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ **ბანკის** სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.
23. **ბანკის** საზედამხედველო ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი, რომლის მისამართია: 0114 თბილისი, საქართველო, სანაპიროს ქუჩა № 2.